სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/180

ქ. თბილისი 22 ივლისი 2019

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათების, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
   1.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“;
   1.3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია“;
   1.4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმებიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**